საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1978. მდებარეობდა ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე.

1992-იდან ძირითადი ნაწილი გადატანილია ქვემო ალვანში. ფონდში არის 17 ათ-ზე მეტი ექსპონატი, შეკრებილი რ-ნის ტერიტორიაზე და თუშეთის სოფლებში მოწყობილი ექსპედიციების დროს. ექპონანტებს შორისაა თუშეთის ყოფისთვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო ნივთები, ეთნოგრაფიული მასალა, გამოყენებითი ხელოვნ. ნიმუშები (XIX–XX სს. ხალიჩა-ფარდაგები, თუშური სამოსელი და აქსესუარები. მუზეუმი ექსპოზიციებს აწყობდა „თბილისობაზე“ და თუშეთში - „თუშეთობაზე“.

მუზეუმს აქვს ფილიალები: სოფ. ზემო ალვანში: მეცხვარის მუზეუმი, სოფ. ომალოში კესელოს ციხეები, ეთნოგრაფიული გამოფენა, სოფ. ყვარელწყალში, „ჯარისკაცის სახლი“, სოფ. ქვემო ალვანში (ისტორიული მუზეუმი) და სოფ. მაღრანის ბაზილიკური ტიპის ეკლესიასა და ალავერდში.

ბ. ცისკარიშვილი